სამუშაო შეხვედრა 1

<u>შეხვედრის გეგმა</u>

სამუშაო შეხვედრის ადგილი: სართიჭალის N1 საჯარო სკოლა

შეხვედრის დრო და თარიღი: 13-16 სთ; 12.12.2022წ;

მასწავლებელთა რაოდენობა: 8

<u>პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკა:</u> „ზრუნვა თვითგანვითარებაზე, სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია“

შეხვედრის მიზანი:

- კოლეგებთან თანამშრომლობა თვითგანვითარებისა და ურთიერთგანვითარების მიზნით;
- პროფესიული თვითგანვითარების მიზნით თვითშეფასების მეთოდის შემუშავება;
- მუშაობა SVOT ანალიზე.

საჭირო რესურსი: კომპიუტერი, პროექტორი, საკითხავი მასალა(მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი), კითხვარი,ინფორმაციის ორგანიზების ცხრილი,თაბახი;

აქტივობა 1: ჯგუფური მუშაობა და დისკუსია
დრო: 1 სთ. 30 წთ.

ჯგუფში დამუშავდა და წარიმართა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განხილვა. შემდგომ კი განხილული საკითხების შესახებ დისკუსია.

- როგორ გამოვიყენებ განხილულ საკითხებს თვითგანვითარების მეთოდის შემუშავებაში? როგორ ფიქრობ რაში დამეხმარება, რა შედეგს მივიღებ?
- რომელი საკითხი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებებს გამოიწვევს შეხვედრაზე განხილული საკითხები პროფესიულ განვითარებაში?

დისკუსიის შემდეგ გამოიკვეთა ინდივიდუალური საჭიროები. კოლეგებთან ერთად საკითხები კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა. შემუშავდა თვითგანვითარების მეთოდი. დაგეგმვის შემდეგ ჯგუფის ნამუშევარი გაზიარდა; მსჯელობა წარიმართა თითოეული საკითხის შესახებ და შესაბამისი უკუკავშირი გაიცა.

აქტივობა 2: ინდივიდუალური მუშაობა

დრო: 1 სთ. 30 წთ.

ინდივიდუალური მუშაობა წარიმართა თვითგანვითარების კითხვარზე და SVOT ანალიზე, რის შედეგადაც მოხდა ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება. რაც დაგვეხმარა ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთაში.

მასწავლებლებმა მოახდინეს მიღებული გამოცდილების გაზიარება და სამუშაო შეხვედრის ბოლოს რეფლექსია.